ხელშეკრულება N 33

ქ. წყალტუბო 3 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ , ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება'' (შემდგომში ,,შემკვეთი'') წარმოდგენილი მისი მმართველის გიორგი იობიძის სახით და მეორეს მხრივ , შპს ,, სოკარ ჯორჯია გაზი'' ს/კ 202403121(შემდგომში,, განაწილების ლიცენზიანტი'') წარმოდგენილი იმერეთის რეგიონალური ოფისის დირექტორის დავით ჯაიანის სახით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 2015 წლის 17აგვისტოს N13 ბრძანების გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის წესატარების წესის მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,, განაწილების ლიცენზიატი'' უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად,, განაწილების ლიცენზიატს'' უხდის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ საფასურს.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურეობას წარმოადგენს: ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ სოფ. თერნალში N23 საბავშვო ბაღის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებას.

1.3. კლასიფიკატორის კოდი : CPV45333200

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 400 (ოთხას)) ლარს .

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. ,,განაწილების ლიცენზიანტი'' ვალდებულია:

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის უზრუნველყოფა.

შეუდგეს სამუშაოს 4.2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შესახებ სათანადო დოკუმენტაციის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს ორ სამუშაო დღეში.

შემკვეთის მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ინფორმაცია მომსახურეობის მიმდინარეობის შესახებ .

შეასრულოს სამუშაო საკუთარი რისკის ხარჯზე.

დაუყოვნებლივ შეატყობინოს .. შემკვეთს'' იმ გარემოებათა შესახებ, რომლებისც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას.

3.2. ,, შემკვეთი'' ვალდებულია:

დროულად აანაზღაუროს ,,განაწილების ლიცენზიატის'' მიერ შესრულებული სამუშაო ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დროულად განიხილოს შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ,, შემკვეთი'' ვალდებულია შემსრულებელს ხელშეკრულების 2.1 მუხლით გათვალისწინებული თანხა გადაუხადოს შემდეგნაირად:

ა) თანხის 50% შემკვეთის მიერ გადახდილი უნდა იქნეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან 3(სამი) დღის განმავლობაში.

ბ) ,, შემკვეთი'' ,,განაწილების ლიცენზიატთან'' საბოლოო ანგარიშსწორებას მოახდენს ფაქტობრივად

შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მიღება- ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც ,, განაწილების ლიცენზიანტი'' უზრუნველყოფს გაზინფიცირებული ობიექტის მომარაგებას.

5. მომსახურეობის განხორციელების ვადა

5.1. ,, განაწილების ლიცენზიატი'' ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის განახორციელოს ,, შემკვეთის'' მიერ 4.2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან 40 (ორმოცი) სამუშაო დღეში.

6. მიღება - ჩაბარება

6.1. ,, განაწილების ლიცენზიანტი''- ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა,, შემკვეთისათვის'' გადაცემულად ითვლება მხარეთა მიერ მიღება- ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის შემდეგ:

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა , მისი მოქმედების ვადა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანად და ჯეროვნად შესრულებამდე.
7.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
7.2.1. ვადამდე მხარეთა შეთანხმებით;
7.2.2. შემკვეთია მიერ ავანსის გადაუხდელობის შემთხვევაში;
7.2.3. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. სამუშაო ობიექტის ან მისი ნაწილის შემთხვევითი დაღუპვის რისკს ატარებს ,, განაწილების ლიცენზიანტი''.ეს რისკი გადადის ,, შემკვეთზე'' სამუშაოს დამთავრების შესახებ განაცხადის გაკეთებიდან მეორე დღეს. თუ სამუშაო ობიექტი განადგურდა ,, შემკვეთის '' მიზეზით ,, განაწილების ლიცენზიანტს'' უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო ამ მომენტისათვის შესრულებული სამუშაოსთვის .
8.2. ამ ხელშეკრულებით თავისი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან არასათანადო შესრულებისთვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.3. ,, განაწილების ლიცენზიანტი''უფლებამოსილია მომსახურების საფასურის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დამატებით მოთხოვოს ,, შემკვეთს'' პირგასამტეხლო გადაუხდელი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

9. ფორს- მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ხელისუფლების აქტების და სოციალური აფეთქებებიდან გამოწვეული დაუძლეველი ძალის შედეგია და თუ ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

10. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

10.1. ეს ხელშეკრულება შეიაძლება შეიცვალოს , გაუქმდეს ან მიჩნეული იქნეს ბათილად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.

11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1. თუ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი ან მისი ნაწილი რაიმე კანონის ძალით აღმოჩნდა ძალადაკარგული , იგი ჩაითვლება ხელშეკრულებაში არარსებული, ამასთან ყველა დანარჩენი მუხლი ძალაში დარჩება.

11.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად , რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, თითეული მხარისათვის გადაცემულად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო
ბაღების გაერთიანება
ს/კ 221281636
მის: ვაჟა ფშაველას N1
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი: TRESGE22
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების

მმართველი: გიორგი ლობიძე

,, განაწილების ლიცენზიანტი"
შპს,, სოკარ ჯორჯია გაზი"
ს/კ 202403121
სს ,, საქართველოს ბანკი"
ა/ა GE51BG0000000233446203
იმერეთის რეგიონალური ოფისის

დირექტორი: დავით ჯაიანი